

მარტინი საფრანგეთის წინააღმდეგ[დიდი პალატა]

Martinie v. France [GC]

N 58675/00

12.04.2006

საქმეში მომჩივანი იყო საჯარო დაწესებულების ბუღალტერი. მომჩივნის მიერ წარდგენილი ანგარიშების აუდიტისას, რეგიონალურმა აუდიტის სამსახურმა დახურული სამართალწარმოების ბოლოს განაცხადა, რომ მას დაწესებულებისათვის მართებდა გარკვეული თანხები, პლიუს პროცენტები. თანხები ემთხვეოდა მომჩივნის, როგორც დაწესებულების საჯარო ბუღალტერის, არარეგულარულად გადახდილ გადასახადებს. დახურულ სასამართლო სხდომაზე, აუდიტის სასამართლომ გამოიტანა განაჩენი მომჩივნის სააპელაციო საჩივართან დაკავშირებით. მოგვიანებით, სახელმწიფო საბჭომ (Conseil d'Etat)¹ არ დააკმაყოფილა მომჩივნის საკასაციო საჩივარი.

სასამართლოს შეფასება

(i) აუდიტის სასამართლოს წინაშე საჯარო მოსმენის არარსებობა

39. სტრასბურგის სასამართლო კიდევ ერთხელ იმეორებს, რომ მე-6 მუხლის 1-ლი პარაგრაფით გათვალისწინებული, სასამართლო ორგანოებში საქმისწარმოების საჯარო ხასიათი იცავს მოსარჩელებს ფარულად, საზოგადოებრივი კონტროლის გარეშე მართლმსაჯულების განხორციელებისგან; და ეს სასამართლოსადმი, როგორც უზენაესი ასევე, ქვედა ინსტანციების, მიმართ ნდობის შენარჩუნების ერთ-ერთ საშუალებაა (*Axen v. Germany*, 8 December 1983, § 25, Series A no. 72).

40. საჯარო მოსმენის უფლება გულისხმობს საჯარო მოსმენას შესაბამის სასამართლოში (*Fredin v. Sweden* (no. 2), 23 თებერვალი 1994, § 21, Series A no. 283-A, and *Fischer v. Austria*, 26 აპრილი 1995, § 44, Series A no. 312). მე-6 მუხლის 1-ლი პარაგრაფი, არ უკრძალავს სასამართლოებს, მათ წინაშე არსებული საქმის განსაკუთრებული გარემოებების გათვალისწინებით, რომ გადაუხვიონ ამ პრინციპს: აღნიშნული დებულების ფორმულირების თანახმად, „... მთელ სასამართლო პროცესზე ან მის ნაწილზე პრესა და საზოგადოება შეიძლება არ იქნეს დაშვებული დემოკრატიულ საზოგადოებაში მორალის,

¹ საფრანგეთის უზენაესი სასამართლო საჯარო ადმინისტრირების საკითხებსა და საქმეებთან დაკავშირებით.

საზოგადოებრივი წესრიგის ან ეროვნული უშიშროების ინტერესებისათვის, აგრეთვე, როდესაც ამას მოითხოვს არასრულწლოვნის ინტერესები, ან მხარეთა პირადი ცხოვრების დაცვა, ანდა, რამდენადაც, სასამართლოს აზრით ეს მკაცრად აუცილებელია განსაკუთრებული გარემოებების არსებობის გამო, ვინაიდან დააზარალდება მართლმსაჯულების ინტერესს“; საქმისწარმოების დახურვა, მთლიანად თუ ნაწილობრივ, მკაცრად უნდა გამომდინარეობდეს საქმის გარემოებების გათვალისწინებით (*Diennet v. France*, 26 სექტემბერი 1995, § 34, Series A no. 325-A).

41. გარდა ამისა, სასამართლომ დაადგინა, რომ განსახილველი საკითხის ბუნებიდან გამომდინარე გამონაკლისი შემთხვევები უნდა დაადგინოს ეროვნულმა სასამართლომ, სამართალწარმოების ფარგლებში (*Miller v. Sweden*, no. [55853/00](#), § 29, 8 თებერვალი 2005), რაც შეიძლება ამართლებდეს საჯარო მოსმენის გაუქმებას (*Göç v. Turkey* [დიდი პალატა], no. [36590/97](#), § 47, ECHR 2002-V). შესაბამისად, სტრასბურგის სასამართლო მიიჩნევს, რომ სოციალური დაცვის შესახებ საქმისწარმოება, რომელიც ძალზედ ტექნიკური ხასიათისაა, ხშირად უკეთ განიხილება წერილობით ვიდრე ზეპირი განცხადებებით, და რომ, რადგანაც სისტემატიურად ჩატარებულმა მოსმენებმა შეიძლება დააბრკოლოს, სოციალური დაცვის შესახებ საქმეებში საჭირო განსაკუთრებული გულმოდგინების მოთხოვნა, გასაგებია, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით ეროვნულმა ხელისუფლებამ უნდა გაითვალისწინოს ეფექტურობისა და ეკონომიკური მოთხოვნები (*Miller and Schuler-Zraggen*, ციტირებული ზემოთ). ხაზი უნდა გაესვას იმას, რომ საქმეთა უმრავლესობაში, „სამოქალაქო“ სასამართლოში საქმის არსებითი განხილვის თაობაზე, სტრასბურგის სასამართლო მივიდა იმ დასკვნამდე, რომ მომჩივანს ჰქონდა საჯარო მოსმენის მოთხოვნის შესაძლებლობა.

42. პოზიცია საკმაოდ განსხვავებულია, როდესაც როგორც სააპელაციო წესით (ასეთია არსებობის შემთხვევაში) და ასევე, პირველ ინსტანციაში, საქმის არსებითი განხილვა „სამოქალაქო“ საქმისწარმოების ფარგლებში არის დახურული, ზოგადი და აბსოლუტული პრინციპის შესაბამისად ისე, რომ მხარეს არ აქვს საჯარო მოსმენის მოთხოვნის უფლება იმ მოტივით, რომ მის საქმეში არსებობს განსაკუთრებული გარემოებები. ამ გზით ჩატარებული სამართალწარმოება არ შეიძლება ჩაითვალოს როგორც კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პარაგრაფის შესაბამისი (მაგალითად, *Diennet and Göç*, ციტირებული ზემოთ): გარდა, მთლიანად გამონაკლისი შემთხვევებისა, მხარეებს სულ ცოტა საჯარო მოსმენის მოთხოვნის შესაძლებლობა მაინც უნდა ჰქონდეთ, თუმცა ეროვნულ სასამართლოს უფლება აქვს უარი განაცხადოს

მოთხოვნაზე და დაადგინოს საქმის დახურვა საქმის გარემოებებისა და ზემოხსენებული მიზეზების გათვალისწინებით.

ვინაიდან, აუდიტის რეგიონალური სამსახურის წინაშე საქმისწარმოება იყო დახურული, სტრასბურგის სასამართლომ აუცილებლად მიიჩნია, რომ საჯარო ბუღალტრებს შეეძლოთ მოეთხოვათ საჯარო განხილვა აუდიტის სასამართლოს წინაშე რეგიონალური აუდიტის სამსახურის გადაწყვეტილების გასაჩივრებისას, რომლის საფუძველზეც მათ ეკისრებოდათ დამატებითი გადასახადი. ასეთი მოთხოვნის არარსებობის შემთხვევაში, სხდომა შეიძლება დარჩეს დახურული, სამართალწარმოების ტექნიკური ხასიათიდან გამომდინარე. წინამდებარე საქმეში, მომჩივანს არ ჰქონდა შესაძლებლობა მოეთხოვა საჯარო მოსმენა აუდიტის სასამართლოს წინაშე, რადგან რეგიონალური აუდიტის სამსახურის მიერ საჯარო ბუღალტერისთვის დაკისრებული გადასახადების შესახებ სამართალწარმოება სააპელაციო სასამართლოში, არ ყოფილა საჯარო.

დასკვნა: დარღვევა (ერთხმად).